



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 257/ს  
09/06/2023

257-21-4-202306091352



**ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 7,472 ჰა ფართობზე, 373 600 მ<sup>3</sup> ბაზალტის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 7,472 ჰა ფართობზე, 373 600 მ<sup>3</sup> ბაზალტის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 610-650 მეტრზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის GPS კოორდინატებია: X-325750, Y-4683145; X-325789, Y-4683405; X-325487, Y-4683451; X-325537, Y-4683130. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ცუცხვათი, დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით. სალიცენზიო ობიექტის ნაწილი (43 496 მ<sup>2</sup>) მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ წიაღითსარგებლობის ობიექტიდან დაახლოებით 1 კმ-ში მდებარეობს ტყიბულის წყალსაცავი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს იმერეთის ჩრდილო ნაწილში, ოკრიბის დაბალმთიან ზონაში და მოიცავს ზღვის დონიდან 699 მეტრი აბსოლუტური სიმაღლის, უსახელო მთის სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის მქონე ფერდობის ქვედა ნაწილის ფრაგმენტს, რომლის დახრილობაც, წიაღითსარგებლობის ობიექტის ფარგლებში, არათანაბარია და საშუალოდ 15-25<sup>0</sup> -ის ინტერვალში მერყეობს. ზემოაღნიშნული მთისა და მიმდებარე ტერიტორიის რელიეფი სერისმაგვარია და აღმოსავლეთიდან ეკვრის ცუცხვათის სინკლინალს (ქვაბულს). სალიცენზიო ობიექტის მთლიანი ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. გამოვლინების რაიონი აგებულია იურული, ცარცული და მეოთხეული ნალექებით. ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ასაკისა და წოლის ფორმების ინტრუზივები, ძირითადად, ტემნიტებითა და ბაზალტის განფენებით. გეოლოგიური თვალსაზრისით, რაიონი აგებულია შუა იურული ასაკის კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებით - ფიქლებით, არგილიტებით, ქვიშაქვებით, ბაზალტის ძარღვებითა და დაიკებით, რომლებიც გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის დელუვიური ნალექებითა და ნიადაგის ფენით. სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ყორიანის ბაზალტის გამოვლინების მიმდებარედ. ტერიტორია აგებულია ბათური და ბაიოსური ნალექებით, ბაზალტის ფენობრივი ბუდობითა და დელუვიური წარმონაქმნებით. ბათური ნალექები აგებულია თიხიანი ფიქლებითა და ქვიშაქვებით, რომლებიც მონაცვლეობს არგილიტებთან. ნალექები წარმოადგენს ბაზალტის როგორც საგებ, ისე სახურავ ფენას. ბაიოსურ ნალექებს აგებს თხელ საშუალოშრეებრივი ტუფები და არგილიტები. პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია ბაზალტით. ქანი რუხი - მოშავო ფერისაა, წვრილმარცვლოვანი და ფოროვანი. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წიაღისეულის საბადო არ არის შესწავლილი, საძიებო სამუშაოები და დასინჯვა არ არის განხორციელებული. მარაგები გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული მეთოდით. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ( $A+B+C_1+C_2$  და  $P$ ), წარმოდგენილია  $C_1$ ,  $C_2$  და  $P$  კატეგორიებით, რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 373 600 მ<sup>3</sup>-ს. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ ფიქსირდება.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური/ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას. ბაზალტის საბადოს ღია კარიერული წესით დამუშავებისას, საქმიანობის სპეციფიკიდან და მოპოვების მეთოდიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, კერძოდ, არაორგანული მტვრის გაფრქვევა, რასაც ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ისე ნედლეულის ტრანსპორტირებისას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს, ასევე, ადგილი ექნება ხმაურის წარმოქმნას და გავრცელებას. გარდა ამისა, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, ასევე, არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ბუნებრივი

რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები, არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება არ მოიცავს დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე და საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

მონაცემების ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. წიაღითსარგებლობის ობიექტის ნაწილი (43 496 მ<sup>2</sup>) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს (ტყიბულის სატყეო უბნის, ორპირის სატყეოს კვარტალი №51). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 7,472 ჰა ფართობზე, 373 600 მ<sup>3</sup> ბაზალტის ღია კარიერული წესით მოპოვება, საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**


#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 7,472 ჰა ფართობზე,

373 600 მ<sup>3</sup> ბაზალტის ღია კარიერული წესით მოპოვება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

